„შეტევითი ქარიშხლიდან“ „განდგომილ სიჩუმემდე“

ავტორი მაია გოგსაძე

რომანტიზმის ეპოქა ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საფორტეპიანო მუსიკის განვითარებისათვის და გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ რობერტ შუმანის სახელი ამ მიმდინარეობის სინონიმად იქცა. მან შეძლო მუსიკაში რომანტიზმის ჭეშმარიტი ბუნების გამოვლენა (რომანტიკოსების აზრით, რომანტიზმი სიყვარული და პოეზიის პოეზიაა). კომპოზიტორისთვის მუსიკა მისი სულის გამოვლენის, ფანტასტიკური სახეებისა და ოცნებების განხორციელების საუკეთესო საშუალებად იქცა.

შუმანის სახელი გამორჩეულია XIX საუკუნის ბრწყინვალე ევროპული რომანტიკული ხელოვნების ფონზე; მას ცოტა ვინმე თუ შეედრებოდა ზემგრძნობელობაში... შუმანის გაშიშვლებული სული ფაქიზად შეიგრძნობდა ადამიანის განცდებს. მოაზროვნე რობერტ შუმანი ხელოვანის გენიალური ალღოთი, გასაოცარი სიღრმით პოეტური სახეებისა და ადამიანური განცდების რთული გამის ჩვენებისკენ ისწრაფოდა. უდიდესი ლირიკოსის მუსიკა მსმენელს აოცებდა სწრაფად ცვალებადი სახეებით, უჩვეულო კონტრასტით – „შეტევითი ქარიშხლიდან“ მშვიდ, თითქმის „განდგომილ სიჩუმემდე“. მის ვნებიან, აღელვებულ მუსიკაში დაუკმაყოფილებელი, მეამბოხე და მშფოთვარე პიროვნების პროტესტი გაისმოდა, თუმცა კომპოზიტორის შემოქმედებას პოეტური ოცნებები მუდმივად გასდევს. შუმანის გრძნობათა სამყაროში ლიტერატურა მუსიკალურ-პოეტური სახეების შექმნის დაუშრეტელი ფანტაზიის წყარო იყო.

შუმანის მუსიკა, როგორც მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგი, სამყაროს ახლებურ ხედვას გამოხატავს. მუსიკალური ენის ახალი გამომსახველობითი ხერხების ძიებაში თამამი ნოვატორი ქმნის ახლებურ მუსიკალურ ჟანრებსა და ფორმებს, მელოდიურ ინტონაციებს, ჰარმონიულ თანმიმდევრობებს, რიტმულ მონახაზებს, რაც ავტორისეულ გამოკვეთილ სტილზე მიანიშნებს. შუმანის შემოქმედება მის თანამედროვეებს გამოუცნობად, მიუწვდომლად მიაჩნდათ. თვითმყოფადი კომპოზიტორის მუსიკალური ენა, ახალი სახეები და ფორმები დაძაბულ და ღრმა წვდომას მოითხოვდა, რაც იმ დროის საზოგადოებისთვის ძალზე უჩვეულო აღმოჩნდა. სამწუხაროდ, მისი ხელოვნება მუსიკოსთა შორისაც ძნელად იკვლევდა გზას, თუმცა შუმანის შემოქმედებამ ხელი შეუწყო მუსიკალური ხელოვნების შემდგომ განვითარება-განახლებას.

შუმანის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად საკმარისია გამოვყოთ მისი პიროვნების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი – იმპულსურობა, რის მკვეთავ ნიადაგად რომანტიკული ნატურის ისეთი თვისებები მოიაზრება, როგორიცაა მომეტებული მგრძნობიარობა, ხასიათის გაუწონასწორებლობა, გარშემომყოფთა მიმართ მწვავე რეაქციები, მოულოდნელი ფეთქებადობა,მუდმივი შფოთვა, გულგრილობის სრული შეუძლებლობა; ხასიათის უწყვეტი ცვლა – ნერვული აღგზნების პიკიდან სრულ აპათიამდე, ექსტაზური

სიხარულიდან „მსოფლიო მწუხარებამდე“. ამასთან ერთად, ყოველივე ეს გადაჯაჭვული იყო ზეშთაგონების, პოეტურობის, უშუალობისა და გულწრფელობის გამოვლინებასთან.

რობერტ შუმანის ბიოგრაფიული ცნობები: დაიბადა 1810 წლის 8 ივნისს საქსონიის ქალაქ ცვიკაუში წიგნის გამომცემლის ოჯახში. 7 წლისა უკვე ქმნიდა პატარ-პატარა ნაწარმოებებს. მოზარდის სულიერ განვითარებაში უდიდეს ადგილს ლიტერატურისადმი ინტერესი იკავებდა. მოგვიანებით მას იტაცებს გერმანელებისთვის უსაყვარლესი რომანტიკოსი ჟან პოლი და ჯორჯ ბაირონი. შუმანს განსაკუთრებით იზიდავდა ჟან პოლის გადამეტებული ემოციურობა, სწრაფვა არაჩვეულებრივისკენ, თავისებური ენა გადატვირთული რთული მეტაფორებით, რამაც შემდგომ დიდი გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე. აქვე უნდა ითქვას, შუმანის ხელოვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ლიტერატურული და მუსიკალური სახეების ერთიანობა. საგულისხმოა, რომ შუმანი მუსიკასა და ლიტერატურას (პოეზიის) შორის არჩევანში დიდ ხანს მერყეობდა, თუმცა ეს უსაზღვრო სიყვარული მის მიერ დაარსებულ გავლენიან ჟურნალში, როგორც მუსიკალურმა კრიტიკოსმა, მაინც გამოამჟღავნა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შუმანი, დედის დაჟინებული თხოვნით, ლაიპციგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. გერმანიის კულტურული ცენტრის საზოგადოებრივ-მუსიკალურმა სიცოცხლით სავსე ატმოსფერომ – მრავალფეროვანმა

შთაბეჭდილებებმა, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრებმა ახალგაზრდა ხელოვანი უმალ დაიპყრო. ერთ-ერთ ამგვარ შეხვედრაზე შუმანი შეხვდა ლაიპციგის ავტორიტეტულ მუსიკოს-პედაგოგს ფრიდრიხ ვიკს და მის ქალიშვილს, ცხრა წლის ვუნდერკინდ პიანისტ კლარას (მისით აღფრთოვანებულნი იყვნენ ლისტი, მენდელსონი, პაგანინი, გოეთე...). კლარა ვიკის – „ფორტეპიანოს პაგანინის“ გასაოცარმა დაკვრამ და ამასთან ერთად მსოფლიოში სახელგანთქმული მევიოლინე ნიკოლო პაგანინის მოსმენამ, რობერტს გადააწყვეტინა სამუდამოდ მიეძღვნა თავი მუსიკისათვის და საკუთარი საშემსრულებლო ხელოვნება გაეღრმავებინა გამოცდილ პედაგოგ ფრიდრიხ ვიკთან. ეს შეხვედრა უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა მომავალი კომპოზიტორისთვის; მისი ცხოვრება და შემოქმედება კლარას სახელთან, მათი სიყვარულის ისტორიასთან სამუდამოდ გადაიჯაჭვა.

შუმანი ფორტეპიანოს დაუფლებას ენთუზიაზმით შეუდგა, სურდა, რაც შეიძლება სწრაფად აღედგინა დაკარგული წლები. ტექნიკური სავარჯიშოების გადამეტებულმა ფორსირებამ და თითების მექანიკურმა გაჭიმვამ იგი მარჯვენა ხელის სამუდამო დაზიანებამდე მიიყვანა. სამწუხაროდ, 24 წლის შუმანის გზა ვირტუოზ-პიანისტის კარიერისაკენ სავალალოდ დასრულდა. ეს შემთხვევა მისი არამდგრადი ფსიქიკისთვის პირველი დიდი დარტყმა აღმოჩნდა. ამ დროს რობერტს მაშველ რგოლად კლარა გამოეცხადა, მომავალში მეუღლე და მისი ნაწარმოებების პოპულარიზატორი.

ვინაიდან შუმანისთვის განსაკუთრებით ახლობელი იყო ფორტეპიანოს ჟღერადობა და საკრავიც მის ჭირვეულ ფანტაზიას ადვილად ემორჩილებოდა, იგი მთლიანად და დიდი გატაცებით გადაერთო საფორტეპიანო მუსიკის შექმნაზე.

[იხილეთ ვიდეო ბმულზე]

პედაგოგ ფრიდრიხ ვიკის სახლში ცხოვრების პერიოდში, კლარასა და რობერტს შორის მჭიდრო სულიერი მეგობრობა წარმოიშვა. კლარას ბავშვური წარმოდგენები შუმანის მდიდარი ფანტაზიების – პოეტური ზღაპრებისა და მუსიკალური იმპროვიზაციების ტყვედ იქცა. კომპოზიტორი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს მის მუსიკალურ და არტისტულ ზრდას. დროთა განმავლობაში მეგობრობა ძლიერ გრძნობაში გადაიზარდა.

1840 წელს კლარას სრულწლოვანებამ შუმანს დიდი ხნის ოცნება აუსრულა. კლარამ უფლება მოიპოვა საკუთარი ბედი დამოუკიდებლად გადაეწყვიტა და ამავე წლის სექტემბრის თვეში რობერტ შუმანი და კლარა ვიკი დაქორწინდნენ. ეს ამბავი შუმანის ცხოვრებისა და შემოქმედებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან და ნაყოფიერ მოვლენად იქცა. მუსიკა თითქოს მისი სულიდან იღვრებოდა... იქმნებოდა სიმფონიები, სიმებიანი კვარტეტები, სონატები, ორატორიები.

სამწუხაროდ, ამ რომანტიკულმა სიყვარულმა თანდათან საბედისწერო ხასიათი მიიღო, რაც რობერტისთვის ყოფნა-არ ყოფნის საკითხად გადაიქცა. 1849 წლიდან შუმანის ჯანმრთელობა მკვეთრად უარესდებოდა: გამწვავებული ფსიქიკური მდგომარეობა მძიმე აპათიით იცვლებოდა, რასაც თან მტანჯველი ჰალუცინაციები და შიშები ერთვოდა. კომპოზიტორი ჩიოდა, რომ ბგერა

„ლა“ მოსვენებას არ აძლევდა. ხანდახან კი ეჩვენებოდა, მისი სათაყვანებელი შუბერტი ღამღამობით ახალ მუსიკალურ თემებს კარნახობს. კლარასთვის არაერთხელ უთქვამს: – „ჩემს თავში მუდმივად ცხოვრობენ ბგერები“. მოახლოებული კატასტროფის შეგრძნება გულჩათხრობილ შუმანს უფრო კარჩაკეტილს ხდიდა.

რობერტ შუმანი უკანასკნელ წლებში პროგრესირებად, მძიმედ მიმდინარე ფსიქიკურ დაავადებას ებრძოდა. ტრაგედია ახლოვდებოდა. 1854 წლის გაზაფხულზე სასოწარკვეთილი და თვითმკვლელობის სურვილით შეპყრობილი შუმანი მდინარე რაინში გადაეშვება. მას გადაარჩენენ, მაგრამ საღი გონება სიცოცხლის ბოლო 2 წლის განმავლობაში აღარ დაუბრუნდება.

1856 წლის 29 ივლისს, 46 წლის ასაკში შუმანის ცხოვრება სულიერად დაავადებულთა ჰოსპიტალში შეწყდა. მომაკვდავის საწოლთან მუხლებზე იდგა მისი ცხოვრების სხივი – კლარა.